ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი N23

17.08.2018 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები: რევაზ სოხაძე, თამარ ტალიაშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი, მარიკა დარჩია, გულია გოცირიძე, ვლადიმერ ძნელაძე, დავით უთმელიძე, ბექა დავითულიანი, ირაკლი ზარქუა, ანა ლაშხი.

მოწვეული სტუმრები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - მაია ბითაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატი - ალექსანდრე ტოგონიძე.

სხდომის თავმჯდომარე, ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - მომხსენებელი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი. (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 15 აგვისტოს N12-031822819-03 წერილი)

2) მიმდინარე საკითხები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ, მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა, მარიამ თავაძემ.

კომისიის წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგის 1-ლი საკითხი:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, კახა კალაძის 2018 წლის 16 აგვისტოს N 12-031822819-03 წერილი).

დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 4 საკითხი პუნქტობრივად იქნა განხილული:

1) №01181841909-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სადმელის ქუჩა N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ 01.12.03.020.012; ფართობი: 14 კვმ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით წარმოდგენილ მიწი ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მასზე არსებულ ნაგებობასა და ღობეზე. შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სადმელის ქუჩა N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ.01.12.03.020.012; ფართობი: 14 კვმ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული პროექტით წარმოდგენილი 1-ლი წინადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

2) №01181831760-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ 81.02.11.786; ფართობი: 1200 კვმ) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ვინაიდან არსებული ტერიტორიის ირგვლივ და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია აღნიშნული ტერიტორიის საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ 81.02.11.786; ფართობი: 1200 კვმ) სასოფლო სამეურნო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს წევრმა, რევაზ სოხაძემ და აღნიშნა, რომ მითითებულ ტერიტორიაზე მიზანშეწონილი იქნება არა ცალკეული საკადასტრო ერთეულებისათვის ფუქციური ზონის ცვლილება, არამედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განახლებული გენერალური გეგმის მიხედვით ტერიტორიის ერთიანი კონცეფციის ფარგლებში საცხოვრებელი ზონისთვის დადგენილი პარამეტრების შესაბამისად განვითარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგლემ, მაია ბითაძემ გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული შენიშვნა გათვალსწიებული იქნება.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული პროექტით წარმოდგენილი მე-2 წინადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3) №01182053609-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში თავდადებულის ქუჩა, კორპუსი №2-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ. 01.10.06.006.245; ფართობი: 5479 კვ.მ) მოთხოვნილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთს სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი, სადაც განხორციელებულია ფუნქციური ზონის ცვლილება და დღევანდელი მდგომარეობით, ვცრელდება საცხოვრებელი ზონა (სზ-6). დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ცენტრალური საავტომობილო გზის „ფარნავაზ მეფის გამზირის„ მიჯნაზე. ვინაიდან, ს.კ. 01.10.06.006.245 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს ესაზღვრება საცხოვრებელი ზონა (სზ-6) ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია აღნიშნული ტერიტორია

განვითარდეს ერთიანი კონცეფციის ფარგლებში საცხოვრებელი ზონა 6-ისთვის დადგენილი პარამეტრების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, თავდადებულის ქუჩა, კორპუსი №2 ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ. 01.10.06.006.245; ფართობი: 5479 კვ.მ) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ის (სზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6)ცვლილება მისაღებია.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული პროექტით წარმოდგენილი მე-3 წინადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4) №01182141568-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ 01.14.16.008.015; ფართობი: 32 კვ.მ) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. დაინტერესებაში ასრებულ მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება მრავალსართულიანი კორპუსი, რის გამოც განხორციელდა წითელი ხაზების კორექტირება. შედეგად, მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში მოექცა მიმდებარედ არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ნაწილი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთსა და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ კორპუსი №5-ის მიმდებარედ, არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს.კ 01.14.16.008.015; ფართობი: 32 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

კომისიის წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგის მიმდინარე საკითხი:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, კახა კალაძის 2018 წის 16 აგვისტოს N 12-031822843-03 წერილი).

დადგენილების პროექტით წარმოდგენილ იქნა 1 (ერთი) საკითხი:

1) №01181232195-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი N49, „თელეების მიწაზე" არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 72.16.23.963; ფართობი: 1028 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება. საპროექტო

ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.16.15.758) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N59 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების პროექტი, რომელიც ადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი N49, „თელეების მიწაზე“ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 72.16.23.963 ფართობი: 1028 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება მისაღებია.

აღნიშნული ფუქციური ზონის ცვლილების საკითხი გადადებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2018 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე (ოქმი N22), გარემოს დაცვის კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 6 აგვსიტოს N12-0318 218103-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დანართში (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 6 აგვისტოს 2018 წლის N 18.606.972 განკარგულებაში) ტექნიკური ხარვეზის არსებობის გამო. კერძოდ:

საკითხის დამუშავების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით, არსებული საცხოვრებელი ზონა 1 სატრანსპორტო ზონა 1-ით უნდა შეცვლილიყო შემდეგ საკადასტრო ერთეულზე: 72.16.23.963 და არა განკარგულებაში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N18.606.972. 06.08.2018) მითითებულ საკადასტრო ერთეულზე 72.16.23.772. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებდა დაზუსტებას და გადამოწმებას ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გასწორებულ იქნა (წერილი N 12-031822843-03. 16.08.2018წ.).

კომისიის თავმჯდომარემ, ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა N12-031822843-03 წერილით წარმოდგენილი ზემოხსენებული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

კომისიის წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგის მიმდინარე საკითხი:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, კახა კალაძის 2018 წის 16 აგვისტოს N12-031822842-03 წერილი).

დადგენილების პროექტით წარმოდგენილი იქნა 1 (ერთი) საკითხი:

1) №01181273454-67განცხადებით, ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა 27-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს.კ. 01.13.07.006.026 და 01.13.07.006.027) ნაწილზე (ფართობი: 5652 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს.კ. 01.13.07.006.026 და 01.13.07.006.027) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 -ს (ტზ-1) სამრეწველო ზონა -1 ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

აღნიშნული ფუქციური ზონის ცვლილების საკითხი გადადებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2018 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე (ოქმი N22), გარემოს დაცვის კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის აგვსიტოს N12 -0318218103-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დანართში (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 6 აგვისტოს 2018 წლის N 18.606.972 განკარგულებაში) ტექნიკური ხარვეზის არსებობის გამო. კერძოდ:

საკითხის დამუშავების შედეგად საჯარო რეესტრის საიტზე მოპოვებული ინფორმაციით N 01.13.07.006.005 საკადასტრო მიწის ნაკვეთი 2018 წლის 31 ივლისს გაიყო ორ დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთად: ს/კ: 01.13.07.006.027 და ს/კ: 01.13.07.006.026. ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო N01.13.07.006.005 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე და განხილვის პროცესში მოხდა საკადასტრო მიწის ნაკვეთის გაყოფა. შექმნილი გარემოებების გამო, ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, სხდომაზე აღნიშნული ფუქციური ზონის ცვლილების განსახილველად, საჭიროდ იქნა მიჩნეული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014

წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების პროექტის მომზადება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, კახა კალაძის 2018 წის 16 აგვისტოს N12-031822842-03 წერილით წარმოდგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გასწორებული იქნა.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა N12-031822842-03 წერილით წარმოდგენილ დადგენილებაში მითითებული ზემოხსენებული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 16 აგვსიტოს N12-031822819-03 ; 12-031822842-03; 12-031822843-03 წერილებით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (ჯამში: 6 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხდომაზე განსახილველად გატანა.

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ერეკლე კუხიანიძე